საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„განთიადი“

„განთიადი“, ავეჯის დამამზადებელი საწარმო. საავეჯო კომბინატი დაარსდა 1954 თბილისში, ხოლო 1976 მის ბაზაზე შეიქმნა საქართვ. რესპ. მრეწვ. სამინისტროს სააქციო საზ-ბა „ქართული ავეჯის“ თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება, რ-შიც შევიდა თბილ. საავეჯო კომბინატი (სათავო საწარმო), № 2 და № 3 საავეჯო ფ-კები. გაერთიანება ამზადებდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების კორპუსულ, ცხაურულ და რბილ ავეჯს. 1997-იდან „გ.“ სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა. XX ს. 90-იანი წლებიდან ავეჯის წარმოების ბაზარზე მსხვილი საწარმოები თანდათანობით ჩაანაცვლა მცირე მეწარმეებმა, რის შედეგადაც „გ-ის“ საავეჯო საქმიანობა შემცირდა და შემდგომ კი ავეჯის წარმოება შეწყვიტა. 2001 რეორგანიზაციის შედეგად მას გამოეყო ავეჯის მწარმოებელი სააქციო საზ-ბა „ორბელი-91“. ამჟამად „გ-ის“ ტერიტორიაზე განთავსებულია ავეჯის მასალების დამმუშავებელი და ავეჯის დამამზადებელი სხვადასხვა საწარმო.

ჯ. ადეიშვილი

მ. თოქმაზიშვილი